სასწავლო-სამაგისტრო პროგრამა 2010-2011 წწ.

ხშირად დასმული კითხვები

რა არის სასწავლო-სამაგისტრო პროგრამა?

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 2005 წლიდან მოქმედებს სასწავლო-სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზანია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქეების სწავლების დაფინანსება.

ვის შეუძლია სასწავლო-სამაგისტრო პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიღება?

გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომლის ასაკი არ აღემატება 40 წელს და რომელიც მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ჩაირიცხა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გრანტის მისაღებად აქვს თუ არა მნიშვნელობა, რომელ უნივერსიტეტშია ჩარიცხული აპლიკანტი?

გრანტს მიიღებს მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც ჩარიცხულია ფონდის მიერ წინასწარ შერჩეული და გამოქვეყნებული რეიტინგული უცხოური უნივერსიტეტების პრიორიტეტულ ფაკულტეტებზე.

სად მოვიძიო ფონდის მიერ შერჩეული უნივერსიტეტების ჩამონათვალი?

უნივერსიტეტების ჩამონათვალი, სადაც მითითებულია კონკრეტული სპეციალობები და დეპარტამენტები, შეგიძლიათ, იხილოთ ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.drf.org.ge

როგორ ჩავირიცხო უნივერსიტეტში?

უნივერსიტეტში მიღების პროცედურებს კანდიდატი ფონდისგან დამოუკიდებლად გადის. თქვენ თავად უნდა შეარჩიოთ უმაღლესი სასწავლებელი ფონდის მიერ მითითებული პრიორიტეტული

უნივერსიტეტების სიიდან, შეავსოთ უნივერსიტეტის სააპლიკაციო ფორმა და დააკმაყოფილოთ თქვენ მიერ შერჩეული უნივერსიტეტის მოთხოვნები.

შეუძლია თუ არა კანდიდატს უნივერსიტეტთან იურთიერთოს ფონდის სახელით?

კანდიდატმა უნივერსიტეტთან უნდა იურთიერთოს ინდივიდუალურად, ფონდისგან დამოუკიდებლად, რადგან ფონდი არ ერევა და არ განსაზღვრავს უნივერსიტეტისა და სტუდენტის ურთიერთობას. იგი უფლებამოსილია მხოლოდ უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში დააფინანსოს კანდიდატი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

განსაზღვრავს თუ არა ფონდი მის მიერ შერჩეულ უნივერსიტეტებში გასავლელ პროცედურებს და მოთხოვნებს?

ფონდი არ განსაზღვრავს მის მიერ შერჩეულ უნივერსიტეტებში გასავლელი პროცედურებსა და მოთხოვნებს. ყველა უნივერსიტეტი ფონდისგან დამოუკიდებლად ადგენს თავის მოთხოვნებს, რასაც შეგიძლიათ, გაეცნოთ თავად უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

რა დროს მოიცავს უნივერსიტეტში საბუთების განხილვა?

უცხოეთის უნივერსიტეტში მისაღები საბუთების განხილვა, დაახლოებით, 3 თვეს საჭიროებს. თუმცა, უმჯობესია, თუ ამის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას თქვენ მიერ შერჩეული უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოიძიებთ. ყველა უნივერსიტეტი ვადებს დამოუკიდებლად ადგენს.

როგორ მოვიქცე უნივერსიტეტიდან მიღებული დასტურის შემდეგ? სად შევიტანო საბუთები დაფინანსების მისაღებად?

უნივერსიტეტში ჩარიცხვის დამადასტურებელი წერილის მიღების შემდეგ, თქვენ უნდა დარეგისტრირდეთ ფონდის ვებგვერდზე (www.drf.org.ge) არსებულ ელექტრონულ სისტემაში. 2009 წლიდან საბუთების მიღება წარმოებს მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

რა ინფორმაციაა საჭირო სააპლიკაციო ფორმის შესავსებად?

აპლიკაციის ელექტრონულ ფორმაში შესატანი ინფორმაციის ნუსხა:

- პირადი ინფორმაცია;
- განათლება;
- დიპლომები;
- სამუშაო გამოცდილება;
- რეკომენდატორების რეკვიზიტები;
- მოტივაციის წერილი;
- ფონდისგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა და დანიშნულება.

რა ეტაპებია კონკურსში გასავლელი?

კონკურსის ეტაპებია:

- კონკურსის ვადებში ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირება და სააპლიკაციო ფორმის შევსება;
- საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება.

აქვს თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდის შევავსებ სააპლიკაციო ფორმის ელექტრონულ ვერსიას?

შეგიძლიათ, სააპლიკაციო ფორმა ადრეულ ეტაპზევე შეავსოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ფონდისთვის საბოლოო ელექტრონული ვერსიის მოწოდებას მხოლოდ მას შემდეგ აქვს აზრი, რაც უნივერსიტეტიდან ჩარიცხვის დამადასტურებელ წერილს მიიღებთ.

გასაუბრებაზე რა კრიტერიუმებით ახდენს საკონკურსო კომისია შეფასებას?

გასაუბრებაზე ფასდება აპლიკანტის ლიდერობის პოტენციალი, მოტივაცია, სწავლისა და სწავლასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობა, სამუშაო გამოცდილება, მიღებული განათლება.

კონკურსში მონაწილე რომელ კანდიდატს ენიჭება უპირატესობა?

სასწავლო-სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გრანტის გაცემისას უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც საჯარო მოხელეები არიან.

რამდენ აპლიკანტს აფინანსებს ფონდი ყოველწლიურად?

2005 წელს დაფინანსება მიიღო 33 კანდიდატმა. 2009 წელს დაფინანსებულთა რაოდენობამ უკვე 121-ს მიაღწია. დაფინანსებულ კანდიდატთა რაოდენობა დამოკიდებულია იმ ბიუჯეტზე, რომელსაც სახელწიფო ყოველწლიურად გამოყოფს.

აპლიკანტის ხარჯებს ფონდი სრულად ფარავს თუ მხოლოდ ნაწილობრივ?

გადაწყვეტილება დაფინანსების რაოდენობის შესახებ მიიღება აპლიკანტის საჭიროებებისა და პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გათვალისწინებით.

ანაზღაურებს თუ არა ფონდი TOEFL-ის ჩაბარების საფასურს?

„განვითარებისა და რეფორმების ფონდი“ არ ანაზღაურებს TOEFL-ის ჩაბარების საფასურს. საფასურს იხდის თავად კანდიდატი.

ვინ იღებს გრანტის მინიჭებასა და მის რაოდენობაზე გადაწყვეტილებას?

საკონკურსო კომისია.

რა ვადაში ხდება გრანტის დამტკიცება?

საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების შემდეგ, გრანტის გამოყოფისა და მისი ოდენობის შესახებ აპლიკანტს ინფორმაცია მიეწოდება ადგილზევე ან არა უგვიანეს 1 კვირის ვადაში.

აუცილებელია თუ არა, რომ გასაუბრების დროს კონკურსში მონაწილე აპლიკანტი საქართველოში იმყოფებოდეს?

საზღვარგარეთ მყოფ აპლიკანტებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩამოუსვლელად, ფონდთან წინასწარი შეთანხმებით, ტელეფონით გაესაუბრონ კომისიის წევრებს.

როდის შეუძლია გრანტის მფლობელს, მიიღოს გრანტი?

გრანტის მიღება შესაძლებელი იქნება გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სად ერიცხება სტიპენდიანტს მინიჭებული გრანტი: პირად ანგარიშზე თუ პირდაპირ უნივერსიტეტის ანგარიშზე?

წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე, სწავლის თანხა უშუალოდ უნივერსიტეტის ანგარიშზე ირიცხება, ხოლო საყოფაცხოვრებო ხარჯების დასაფარად საჭირო თანხა გრანტის მიმღებს კვარტალურად ერიცხება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე. ანგარიში შეიძლება გახსნილი იყოს, როგორც საქართველოში მოქმედ ბანკში, ასევე _ უცხოეთში. გადარიცხვა ხორციელდება მიმდინარე დღის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უზრუნველყოფს თუ არა ფონდი გრანტის მიმღებთა დასაქმებას სწავლის დასრულების შემდეგ?

ფონდი გრანტის მიმღებთა დასაქმებაზე პასუხისმგებლობას არ კისრულობს. თუმცა, სხვა უწყებებიდან შესაბამისი მომართვის შემთხვევაში, ფონდი დამსაქმებელსა და კურსდამთავრებულებს ერთმანეთთან დააკავშირებს.

გასცემს თუ არა ფონდი რამე სახის რეკომენდაციას სასწავლებლად წასვლის მსურველ ან მის მიერ დაფინანსებულ კანდიდატებზე?

ფონდი არ გასცემს არანაირი სახის რეკომენდაციას სასწავლებლად წასვლის მსურველ ან მის მიერ უკვე დაფინანსებულ კანდიდატებზე.